სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსს
ბატონ ბესიკ ქოჩიაშვილს

დამოუკიდებელ კანდიდატ

ანა დოლიძის

საინიციატივო ჯგუფის/საარჩევნო კამპანიის ფონდის

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის

ნინო წულაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

თქვენი მოთხოვნის პასუხად, წარმოგიდგენთ საინიციატივო ჯგუფის, დამოუკიდებელი კანდიდატის საარჩევნო კამპანიის ფონდის სრული საარჩევნო პერიოდის ანგარიშთან დაკავშირებულ, თანდართულ აუდიტორულ დასკვნას.

გაცნობებთ, რომ შექმნილი პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, შეგვექმნა ტექნიკური სახის პრობლემები და დაგვიგვიანდა აუდიტორული დასკვნის წარდგენა. გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული გარემოება.

დანართი: 2 ფურცელი

განმცხადებელი: _____ _____

ხელმოწერა /სახელი, გვარი/

თარიღი: 22.01.2021

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
№ 169/09
"22" 01 2021
1/2 ფ.

(კონფიდენციალურია)

კომპანია „ელიტ აუდიტი“ ს.ნ.404387953

ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ №50

ტელ. 571777547

21.01.2021 წ.

აუდიტორული დასკვნა

კონფიდენციალური სარგებლობისთვის

1. მოსაზრება

შპს “კომპანია ელიტ აუდიტის” სერთიფიცირებულმა აუდიტორმა ელგუჯა ხორავამ (სერთ.№ზ5/397) 2021 წლის 20 იანვრის ხელშეკრულების საფუძველზე ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარულ ოლქში საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარულ კანდიდატ ანა დოლიძის (შემდეგში “დამკვეთი”) შემოსავლებისა და ხარჯების აუდიტზე, 2020 წლის 6 სექტემბრიდან 2020 წლის 14 ნოემბრამდე.

მომზადებული დასკვნა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს დამკვეთის ფინანსური ოპერაციების მდგომარეობას აღნიშნული პერიოდისთვის.

2. მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ დამკვეთისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებული შემოსავლებისა და ხარჯების აუდიტს;

3. დამკვეთის პასუხისმგებლობა

დამკვეთი პასუხისმგებელია აუდიტორისთვის გადაცემულ დოკუმენტაციაზე.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული აუდიტის საფუძველზე შეადგენს გამოვთვალოთ დამკვეთის შემოსავალები და ხარჯები აღნიშნული პერიოდისათვის. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისა სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი მოითხოვს დავიცვათ ეთიკის მოთხოვნები.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია ჩვენს განსჯაზე, მათ შორის დამკვეთის შემოსავლებში და ხარჯებში არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებაზე, რომელიც გამოწვეულია შეუსაბამობებით,

ან/და შეცდომით. მოცემული რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლის სისტემა შემოსავლების ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის.

5.შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშგება.

დამკვეთის შემოსავლები შედგება შემოწირულობებისაგან მხოლოდ ფიზიკური პირებისაგან უნაღდო ანგარიშსწორებით, დამკვეთის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით, რომელიც მას გახსნილი აქვს ს.ს. თიბისი ბანკში.

ფიზიკური პირებიდან შემოწირულობები შეადგენს 124074 ლარს.

დამკვეთის ხარჯები შეადგენს 114398 ლარს. ყველა შემოსავლებისა და ხარჯების გაშიფვრა მოცემულის წინამდებარე ცხრილში.

შემოსავალი	124074
ხარჯები სულ:	114398
მათ შორის:	
ხელფასი	5935
ოფისის ხარჯი	685
კვება	3709
სამედიცინო ხარჯი	70
თრანსპორტირებისა და ტექნიკის შენახვის ხარჯები	1910
სემინარები, კონფერენციები, ყრილობები და სხვა შეხვედრების ხარჯი	9010
საიჯარო ქირა	3565
რეკლამის ხარჯი	84330
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	4369
სხვადასხვა ხარჯები	815

6. აუდიტორული შემოწმების შედეგები

აუდიტორული შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დამკვეთის შემოსავლები და ხარჯები სწორად და სამართლიანად ასახავს მის ფინანსურ ოპერაციებს.

1. შპს ელიტ-აუდიტის აუდიტორი ელგუჯა ხორავა -